წითელი მეომარი

ფასი 5000 მანეთი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს-რთ.
რუსთაველის პრ. № 31

პარასკევი 11 მაისი
1923 წ
წელიწადი მესამე

№ 26 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 269

საბჭოთა საქართველოს შინაური მდგომარეობა.

საბჭოთა საქართველოს შინაური პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები საგრძნობლად განმტკიცდა გასული წლის შედარებით.

მოწინააღმდეგეთა ნიღაბ აუხდელ კონტრევოლიუციონურმა მუშაობამ ვერავითარი გამოძახილი ვერ პოვა და სრული მარცხით დამთავრდა.

ვაჟბატონ მენშევიკების აღვირ-ახსნილი პოლიტიკა, რომელიც იყო მიმართული საქართველოში მომქმედ ბანდების გაძლიერებისა და ხელისშეწყობის სახით ერთხელ და სამუდამოდ დასამარდა.

სოფლის და ქალაქის მშრომელმა მასსამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ქვეყნის წინაშე, რომ ის შეგნებულად ებრძვის ყოველგვარ ბანდიტიზმს და მენშევიკურ კონტრევოლიუციას.

ამ რიგად, მდგომარეობა არსებითად საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ არის მიმართული

ყველა კომპანიებს ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ საკითხებზე, მაშვრალთა ფართე მასები დიდი ენტუზიაზმით ეგებება და ცხოვრებაში ტარდება.

ასეთი არის თუ გნებავთ ანტირელიგიური პროპაგანდის კომპანია, რომელიც დღესაც დიდ ინტერესით შედის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ამ კომპანიამ სოფლის მშრომელი გლეხობა გამოაღვიძა, აამხედრა რელიგიის და სამღვდელოების წინააღმდეგ. დღეს იგი შეგნებულად ანადგურებს ამ ბოროტ მოვლენას, რაც არ ახსოვს ისტორიას.

ასეთი მთლიანი ენტუზიაზმი მშრომელი ხალხის გამოწვეულია არა ხელოვნურად არამედ ის ბუნებრივად დაიბადა მის საშოში.

ამას რაღა საკვირველია ხელს ვეღარ შეუშლის ვერც ყაჩაღური, ბანდიტური მოქმედება და ვერც ვაჟბატონ მენშევიკების ანტირევოლიუციონური კუდის ქნევა კონტრრევოლიუციის სასარგებლოდ.

არა ნაკლებ აღფრთოვანებას იწვევს თესვის და წითელ ჯარში გაწვევის კომპანიები.

ამ კომპანიებსაც დიდი მნიშვნელობა დაურჩა მშრომელი მასებისთვის. პოლიტიკურად გამარჯვებული გლეხი თუ მუშა დღეს შეგნებულათ სდგას საბჭოთა ხელისუფლების თვალსაზრისზე.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯარში გაწვევა წელს ისეთი ენტუზიაზმით ჩატარდა, როგორც არ ახსოვს საქართველოს მენშევიკებისა და მათ უმეტეს ნიკოლოზის დროს. არსად ადგილი არ ჰქონია იძულებითი ზომებს. მუშებისდა გლეხების შვილები დაუზარებლად შემოვიდნენ წით. არმიაში, მათ იციან, რომ აქ მოკლე ხნის განმავლობაში შესწავლიან სამხედრო საქმესთან ერთად წერა-კითხვასაც, მიიღებინებენ საერთო ცოდნას პოლიტიკურ და მეცნიერების დარგებიდან. რის შემდეგ ის ბრუნდება სახლში უკვე შეგნებულ მოქალაქედ.

ცხადია ამ პირობებში კონტრევოლიუცია ვერ მოიკიდებს ფეხს. დღეს, მას კრიჭაში უდგია მუშა და გლეხი. იმიტომ ისინი მიმალულნი არიან სოროებში ყოველივე იმედზე ხელ აღებულნი. სამაგიეროდ ქვეყნის ჯანსაღი ნაწილი გამოსულია სამშენებლო ფრონტზე შეგნებულად მომენტის პასუხისმგებლობაში და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას ახმარს მთელ ენერგიას,

ჩვენ გვრწამს, რომ ეს სიმტკიცე უფრო ძლიერდება სოფლისა და ქალაქს შორის მჭიდრო კავშირის გაბმით, ამ მხრივ უნდა იყოს ჩვენი ყურადღება მიქცეული, რომ გამოვიღოთ მეტი ნაყოფი.

პრესის მაგიერ

გაზეთების ყურადღება ამ უკანასკნელ ხანებში ისევ ლოზანის კონფერენციასა და რურის საკითხისაკენაა მიქცეული. რურის საკითხი, როგორც უკვე ვსწერდით ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერში განსაკუთრებით აღონებს საფრანგეთის მილიტარისტებს, რადგანაც იგი ასუსტებს ოსმალეთთან დამოკიდებულების პოზიციის სიმტკიცეს.

არც ლოზანას კონფერენციას მოაქვს საყურადღებო შედეგები. იყო ამას წინათ ესევე კონფერენცია გამართული, ილაყბეს ბევრი, წარადგინეს პროექტები, კონტრ პროექტები, შესწორებები, დათმობები და ბოლოს გამოვიდა არაფერი. ეხლა ხელმეორეთ შეიკრიბნენ.

ეხლაც კონფერენციაზე ისეთი განწყობილება გამეფებულა, რომ ვერც კი ულაპარაკნიათ აშკარათ იმ საკითხებზე, რომელთა გადასაწყვეტადაც ისინი შეკრებილან.

გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ დიპლომატების ასეთ მოღვაწეობას ეძახის „ადგილზე სირბილს“.

„ჰაერში თოფის-წამლის სუნი დგას. ლოზანაში კი კვლავ ლაყბობენ და ლაყბობენ, უვლიან განზე, განზე ისე რომ უბრალოთაც არ მიეკარონ სასურველ საკითხს და ვერავითარ გზით ხარისათვის რქებში ვერ მოუკიდნიათ ხელი.“

ასეთივე „ადგილზე სირბილი“ სწარმოებს მეორე საკითხის გამოც. გერმანიას წარუდგენია წინადადება რურის ევაკუაციის შესახებ, რის გამოც საფრანგეთი და ბელგია ძალზე აღელვებულან.

ევროპაში ისევ აიწეწა დიპლომატთა საქმეები. ამას აძლიერებს კიდევ ის გარემოება, რომ გაზეთ „რაბოჩაია გაზეტას“ (მოსკოვში გამოდის) ცნობით: „საფრანგეთის რეაქციონური პრესა.

შეშინებულია ჩიჩერინის ჩამოსვლით ლოზანაში და აცხადებს, რომ მიღებულია ყველა ზომები რათა ხელი შეეშალოს ჩიჩერინს მოულოდნელათ კონფერენციაზე გამოჩენაში.

სრულიათ აშკარა უნდა იყოს ყველასათვის რომ შეშინებულნი არიან საფრანგეთის მილიტარისტები. რუსეთის მონაწილეობა კონფერენციაზე აურ დაურევს მათ ყოველგვარ ანგარიშებს.

პირიქით საფრანგეთის ლიბერალურ პრესას დიდათ სასურველათ მიაჩნია რუსეთის მონაწილეობა, რადგანაც საფრანგეთისათვის გაცილებით უკეთესია უშუალოთ ჰქონდეს საქმე რუსეთთან.“

იმავე გაზეთის ცნობით „როსტას“ ლოზანელი კორესპოდენტი იტყობინება, რომ ჯერ-ჯერობით ლოზანას კონფერენციას არავითარი შედეგებისათვის არ მიუღწევიაო.

გარდა ამისა ლოზანის კონფერენციის ერთ დროულათ სტამბოლშიაც ყოფილა მეორე კერძო კონფერენცია ოსმალეთის მთავრობასა და იმ კაპიტალისტების, რომელთაც სურთ კონცესიების მიღება.

„ირკვევა, რომ ლოზანას კონფერენცია ვერაფერს გადაწყვეტს მანამ სანამ ვერ შეთანხმდებიან სტამბოლის კონფერენციაზე.“

მკითხველი თვით დაასკვნის თუ როგორ არევია მონასტერი ევროპის ბურჟუაზიას.



— ვენაში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის დაჭრილია 26 კაცი.

— ლოზანის კონფერენციაზე, ზოგიერთი გაზეთების აზრით, მოკავშირეები მზად არიან წავიდნენ დათმობაზე.

— მოკავშირეები არღვევენ ოსმალეთის სუვერენიტეტს.

— იტალიის ფაშისტებმა გააძლიერეს კომუნისტების დევნა

გერმანია და ანტანტა

გერმანიის პრესის განწყობილება.

„ფოსსიშე ცეიტუნგ“, უკეთებს რა კომენტარიას საფრანგეთ-ბელგიის ნოტას, ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობამ უნდა ყურადღებით განიხილოს ეს ნოტა და განსაკუთრებით ყურადღებით მოეპყრას რეპარაციის თანხას. სოციალ-დემოკრატები განიცდიან მერყეობას არ იციან განაგრძონ თუ არა პასიური წინააღმდეგობა. მემარჯვენე გაზეთები აცხადებენ, რომ საფრანგეთთან მოლაპარაკების გაგრძელება შეუძლებელია.

საფრანგეთის პრესამ პოზიცია შეიცვალა.

საფრანგეთის პრესის ნაწილმა რამდენიმედ შეიცვალა პოზიცია გერმანიის წინადადების შესახებ. ზოგიერთი გაზეთები უკვე აღარ თხოულობენ გერმანიის წინადადებების კატეგორიულ უარყოფას

ინგლისის პრესა საფრანგეთის პასუხის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „საფრანგეთის მიერ გერმანიის წინადადებების უარყოფას მივყევართ შედეგებისაკენ, რომელნიც შესაძლოა აღმოჩნდენ ფრიად არა სასურველნი. დიდათ სამწუხაროა, რომ საფრანგეთმა სრულიად არ გაუწია ანგარიში ლონდონის აზრს და მხოლოდ ბელგიასთან მოილაპარაკა. ბერლინში შეიქმნა საშიშარი წარმოდგენა, მოკავშირეთა არა სრულ სოლიდარობაზე“.

„ტაიმსი“ სწერს: „საფრანგეთის მოქმედება კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებულ დამოკიდებულებას მოკავშირეთა შორის. თუმცა გერმანიის ნოტა არ არის დამაკმაყოფილებელი, მაინც ის არის საფუძველი მოლაპარაკების. საფრანგეთი და ინგლისი აყოვნებენ მოკავშირეთა ერთიანი ფრონტით გამოსვლას.

უკონფერენციოთ არც ერთი ნაბიჯი.

მუსოლინი იცავს აზრს, რომ მოწვეული იქნეს საერთაშორისო კონფერენცია სადაც განხილული იქნება საკითხი გერმანიის ნოტაზე პასუხის შესახებ.

ლოზანის კონფერენცია

ჩაშლის მოსალოდნელობა.

— მთელი საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ ლოზანის კონფერენცია ეჯახება დიდ სიძნელეებს ოსმალების შეურიგებელი პოზიციის გამო, რომელიც მათ უჭირავთ უცხოელთა უფლების შესახებ. შიშობენ, რომ კონფერენცია ჩაიშლება თუ ისმეტ-ფაშა განაგრძელებს ჯიუტობას.

მოკავშირეები და ოსმალეთის სუვერენიტეტი.

— კაპიტულაციის საკითხის განხილვის დროს მოკავშირეებმა, მოითხოვეს რომ წინასწარ ეცნობოს ევროპის იურისტკონსულებს ოსმალეთში უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა დატუსაღების და ჩხრეკის შესახებ, რაც არის ოსმალეთის სუვერენიტეტის დარღვევა.

სტამბოლის ევაკუაციის საკითხი

— მოკავშირეები მტკიცედ იცავენ იმ აზრს, რომ სტამბოლის ევაკუაცია მოხდეს მხოლოდ მოკავშირეთა პარლამენტების მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ.

მოკავშირეთა ნოტა ოსმალეთისადმი

— მოკავშირეებმა გადასცეს ისმეტ-ფაშას ნოტა, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ ოსმალეთის მიერ სტამბოლში უცხოეთის ბანკების წინააღმდეგ მიღებულ ზომების გამო.

რურის ოკუპაცია.

ძალადობა გრძელდება.

საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლება რურში განაგრძობს მიმოსვლის პირობების გართულებას და სასტიკად ეპყრობა გერმანიის მოხელეებს და მოსამსახურეებს. უკანასკნელად ფრანგებმა კვლავ გადაასახლეს გერმანელ რკინის გზელების 150 ოჯახი.

ხიდის აფეთქება.

დურგენთან ახენ-კელნის ხაზზე ყუმბარით ააფეთქეს ხიდი, რომელიც დაინგრა. ამენში მიმავალი მატარებელი თავის დროზე იქნა შეჩერებული.

საერთო ხაზი.

იტალიის დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის და იტალიის ცალკე ნოტები გამოხატავენ ერთსა და იმავე აზრს.

მუშათა ცხოვრება.

პროლეტარიატის გაერთიანება.

„როტე ფანე“ იუწყება: „გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ამერიკის „უორკერს პარტიისაგან“ შემდეგი წერილი: „ძვირფასო ამხანაგებო, ამერიკის „უორკერს პარტიის„ სახელით გაცნობებთ, რომ გერმანიის, ავსტრიის და უნგრეთის ღარიბ კომუნისტების ბავშვების სასარგებლოთ ჩვენ შევკრიბეთ დახმარება. აქედან 70 პროც. გაეგზავნება გერმანიას, 20—ავსტრიას და 10—უნგრეთს. ეს დახმარება ამტკიცებს, რომ ამერიკის მუშები სიამაყით ადევნებენ თვალყურს გერმანიის ამხანაგების გმირულ ბრძოლას, როგორც სტინეს-ებერტისა, აგრეთვე საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა გითხრათ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად ვართ და, რამდენად ძალა შეგვწევს, ვეცდებით ცოტათი მაინც შეგიმსუბუქოთ ზრუნვა თავის ოჯახზე.

კომუნისტური სალამით ლუიდვიგ სორე, ამერიკის „უორკერს პარტიი“-ს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

საბჭოთა რუსეთი

სტაბილიზაცია.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფულის კურსი მერყეობისაგან სახალხო კომისართა საბჭოში შეტანილ იქმნა პროექტი, რომლითაც 1 მაისიდან გამოშვებული საბჭოთა ფულის ნიშნები არ უნდა აღემატებოდეს 30 მილიონ მან. ოქროთი.

წითელი ახალგაზრდობა მიეშურება წითელი არმიის რიგებში

სენაკის მაზრის ახალწვეულთა მიტინგზე მიღებული რეზოლიუცია

ჩვენ, 1901 წელში დაბადებული ახალგაზრდებმა, საქართველოს წითელ ლაშქარში ახლად გაწვეულებმა და დროებითი-განთავისუფლებულებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვ. ჩაკვეტაძესი და ვ. თავართქილაძესი ვადგენთ შემდეგს:

1. დღეს, როდესაც დასავლეთ ევროპის კაპიტალი აწარმოებს შეტევას საერთაშორისო მუშათა კლასის წინაღმდეგ და ჰლამობს მუშურ-გლეხური ხელისუფლების განადგურებას,—ჩვენ ახალგაზრდები-მომავალი წითელ არმიელები სრულიად შეგნებით მივდივართ წითელ არმიაში მუშურ გლეხური ხელისუფლება გვაბარებს ჩვენ თავის თავს დასაცავად გარეშე იმპერიალიზმისაგან და ჩვენ გლეხების შვილები უსიტყვოთ მივდივართ ჩვენი ისტორიული მოვალეობის შესასრულებლად.

2. ჩვენ გაგებული გვაქვს თუ როგორ სტანჯავდა და უბნელებდა გონებას, ახალ გაზრდობას ნიკოლოზის თვითმპყრობელური მთავრობა: მეფური მთავრობისთვის ყაზარმა წარმოადგენდა გონების გამოსაყეყებელ და დამჩლუნგებელ ადგილს, სადაც ხშირად ქონდა ადგილი აუწერელ ფიზიკურ დასჯას და არა ადამიანურ მოპყრობას. მეფური მთავრობა ეყრდნობოდა ჯარის კაცთა შეუგნებლობაზე და სარგებლობდა რა ამ შეუგნებლობით, იყენებდა მათ, როგორც უსულო მანქანას თავისი ინტერესების განსახორციელებლად, მუდამ სხვისი ტერიტორიის დასაპყრობად და მუშათა ინტერესების ჩასახჩობად.

3. წინააღმდეგ ნიკოლოზის ყაზარმისა, წითელი ყაზარმა წარმოადგენს სკოლას, სადაც ახალგაზრდობა იწვრთნება შეგნებულად, ვითარდება პოლიტიკურად და ხდება სრულიად შეგნებული დამცველი მუშურ გლეხურ ხელისუფლების. სწავლა, განათლება, შეგნება,—აი რაზე ეყრდნობა საბჭოთა მთავრობა.

4. ჩვენ სრულიად შეგნებით მივდივართ მუშურ გლეხური ხელისუფლების მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესასრულებლად.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ლაშქარს.

გაუმარჯოს ჩვენ ძმას რუსეთის წითელ არმიას.

გაუმარჯოს წითელ არმიის ბელადებს მტერთა თავზარდამცემ ამხ. ტროცკის, კამენევს.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს.

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელ ლაშქარს.*)

---

*) ამგვარივე შინაარსის რეზოლიუცია იქნა ყველგან გამოტანილი თვით როგორც ახალ-წვეულების აგრეთვე მშრომელ გლეხების მიერ ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრებში.

ცეკას და პოლი. განყ. რწმუნებული

კ. გვალია.

ჩვენს წითელ ჯარში

უვადო შვებულებაში გაშვების გამო.

სამოსწავლო ძირითადი ათასეულის წითელ-არმიელების უვადო შვებულებაში გაშვების გამო პოლიტგანყოფილების--აგიტპროპის წარმომადგენელ ამხ. მამულაშვილის მიერ 17 აპრილის მოწყობილ იქნა გამოსამშვიდობებელი საღამო. საღამომ მეტად კარგი შთაბეჭდილება იქონია წ. არმიელებზე. საღამოს დაწყებამდე, რამოდენიმე ამხანაგების მიერ წარმოთქმული იქმნა გამოსამშვიდობებელი სიტყვები. ასეთივე სიტყვით გამოვიდა პოლიტგანათლების წარმომადგენელი ამხ. ბახტაძე, რომელიც ეხება უვადო შვებულებაში მიმავალ წ. არმიელების მოვალეობას.

შემდეგი მოხსენებით გამოდის ამხ. **ეგიკოვი** ჩვენ დღეს ვმართავთ გამოსამშვიდობებელ საღამოს, რის შემდეგ თქვენ წითელ ლაშქრის გმირები წახვალთ თქვენს სახლებში და იქ აიღებთ ხელში, ეკონომიურ ფრონტზე საბრძოლველ იარაღებს, როგორც არის გუთანი, თოხი, ჩაქუჩი, და სხვა და სხვა. შეუდგებით ენერგიულ მუშაობას და მით ხელს შეუწყობთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. თქვენ წითელ ლაშქარში ყოფნის დროს, საკმაოდ შეიგნეთ მუშებისა და გლეხების ინტერესები, ამიტომ იმედს გამოვსთქვამ, რომ თუ საჭირო შეიქნებით წ. ლაშქრის რიგების გასაძლიერებლათ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველათ, ეჭვი არაა, თქვენ ყველა, როგორც ერთი გაეშურებით კვლავ წითელ ლაშქარში.

უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხ. **ხახნელიძე**. რომელიც, ეხება განსაკუთრებით, სამოსწავლო ათასეულის ერთეულ მოღვაწეობას აღნიშნავს მათ ერთგულობას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. დასასრულ ამხ. სავანელიძე უსურვებს ასეთსავე ერთგულობას და გამარჯვებას მომავალში. მოხსენებების შემდეგ, იქნა მიღებული სათანადო რეზოლიუციები.

შემდეგ წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა რელიგიური პიესა.

დასასრულ გაიმართა პოლიტიკური ლატარეა; ირჩეოდა სამი საკითხი. პირველი: წითელი არმიელის მოვალეობა როდესაც სახლში დაბრუნდება; მე-2-რე სარწმუნოება, და მესამე საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი დებულება. ლატარიაში მონაწილეობდნენ ყველა წ. არმიელები. მოგება პირველ საკითხზე ერთი მილიონი, მეორე და მესამე საკითხზე უპასუხებდა სწორეთ და კონკრეტიულათ.

პირველი საკითხის გარჩევის დროს ლატარიიდან ერთი მილიონი მანეთი მიიღო წითელ მოლაშქრე ამხ. ავალიანმა. მეორე საკითხზე წ. მოლაშქრე ამხ. შენგელიამ და მესამე საკითხზე წ. მოლაშქრე ამხანაგ. ჯღერიამ საღამო კარგათ ჩატარდა. და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრეთა შორის, ყველა ხალისით და მხიარულობით ღებულობდა მონაწილეობას.

ყოფ. წ. მ. ა. ქუმსიშვილი

შეფის ფული.

ქართული დივიზიის საარტილერიო ნაწილების შეფათ ითვლება „ნარკომპროდი“ ყოველ თვიურათ გვეხმარება 300 მანეთ ოქროთი.

შეფის ფულის გამნაწილებელ კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულია „ლეგარდივის“ უფროსი ჟურული, ფულს სისტემატიურათ ღებულობს კომისია, მხოლოთ განაწილება კი ვერ მოხერხდა. მარტის ფული ეხლაც გაუნაწილებელია, რაშია საქმე? მარტში მიღებული მარტის ფული, რათ უნდა რიგდებოდეს მაისში, *) ამისათვის ვსთხოვთ კომისიის თავჯდომარეს ჟურულს, თუ საძნელო არ იქნება ყოველივე გვაცნობოს ყველას გასაგონათ ამ გაზეთის ფურცელზე—ვინაიდგან დიდ გაჭირებას განვიცდით.

---

*) ჯერ არც ისა გვაქვს მიღებული მხოლოდ იმედი კი გვაქვს.

შიტაუდელი

ჰაეროპლანები საპოზიციო ომში.

მოსაგერიებელ ბრძოლისათვის უნდა წინასწარ იყოს შეკრეფილი ჰაეროპლანთა მრავალი ჯგუფი; ისევე უნდა მოიქცენ შეტევით ბრძოლისათვისაც, რადგან ჰაერში ბატონობას დიდი მნიშვნელობა ექნება ფეხოსან ჯარის იერიშისათვის: როგორც იერიშის წინ, ისე შემდეგში. მტრის კონტრ-იერიშის შესახვედრად საჭიროა მზად იყოლიონ მელეტავთა ჯგუფების მაშველი. ყოველ გარემოებაში ჰაერში საბრძოლო ძალთა მართველობა ერთი პირის ხელში უნდა იმყოფებოდეს. ვინც ჰაერში გამარჯვებული დარჩება, მას დაწვრილებითი და ნამდვილი დაზვერვის შეძლება მიენიჭება და დანარჩენ მფრინავებს შეეძლებათ სხვა საქმის გაკეთება. მფრინავებმა უკანასკნელ ხანში კავალერიას გამოსტაცეს ხელიდან ერთი მისი უმთავრესი დანიშნულებაც, რომლის შესრულება საპოზიციო ომში მხოლოდ მფრინავებს შეუძლიათ —ეს მოწინააღმდეგის ზურგის მიმოსვლის მოშლაა.

ამ გვარ ხასიათის ომში კავალერიას არ შეუძლიან სადმე მტრის კედაროში შეიჭრას, ჰაეროპლანებს კი თავისუფლად შეუძლიათ მას თავზედ გადააფრინდეს და დაუშინოს ზევიდან ნაწილობრივ ყუმბარები, ნაწილობრივ ტყვიისმფრქვევის ცეცხლით შეუტიოს მოწინააღმდეგის მიმოსვლის საშუალებებს, რომელიც ჯარის ზურგში იმოძრავებენ, ბანაკებს და ჰაეროდრომებს, სადგურებს და რკინის გზებს. ასეთი შეტევა ჰაეროპლანებს მეტის წარმატებით შეუძლიათ და მტერის კედაროში უფრო ღრმად შეჭრა, ვიდრე ეს ცხენოსან ჯარს ოდესმე შეეძლო.

ამ გვარ თავდასხმისათვის ყუმბარმზიდავთა ესკადრილიას შექმნიან, რომელთაც ფართო სივრცეში შეუძლიათ მოქმედება და თავიანთ დანიშნულებას ჩვეულებრივ ღამით ასრულებენ. მტრის დაახლოვებულ მიზნების წინააღმდეგ მათი დღისით გაგზავნაც შეიძლება და, ამ შემთხვევაში მათ დასაცავათ მფრინავი-მელეტავნი უნდა მიჰყვენ.

საპოზიციო ომის დროს, სანამ პოზიცია გარღვეული არ იქნება, ცხენოსან ჯარს ბრძოლაში არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. რაც შეეხება ჰაეროპლანებს: მათ მოულოდნელად შეუძლიათ გამოჩნდენ, მფრინავ-მელეტავთა დაფარვით უცბად მაღლიდან ძირს დაუშვებს და ახლო მანძილიდან ტყვიამფრქვევის ცეცხლი მიაყარონ მებრძოლ ჯარს, სალაშქრო რაზმეულებს და მსროლავ ბატარეიებს. ასეთი თავდასხმა შეიძლება მოახდინონ არამც თუ მტრის მოწინავე ხაზზედ, არამედ მის უკანა მყოფ მაშველზედ და წამოსულ ჯარზედაც კი. თავის ამ გვარი მოქმედებით იგინი დიდ დახმარებას გაუწევენ ფეხოსან ჯარს, მის მძიმე ბრძოლაში და ხშირად საქმეს გამარჯვებით დააგვირგვინებენ. მხოლოდ ამისთვის მათ არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციონ მტრის ცეცხლს. ჰაეროპლანები შესაძლოდ დაბლა უნდა ეშვებოდენ, რათა თავისი იარაღი წარმატებით მოიხმარონ და მტრის რიგებში ძრწოლა და სასოწარკვეთილება გამოიწვიონ.

ამ ამოცანის შესრულებას ჰაეროპლანთა შესანიშნავ ნაწილების ჯავშნით დაფარვა ხელს შეუწყობს. მაშინ მათ იერიშში გაქნება ისევე შეეძლებათ, როგორც უწინ აბჯარში გამოწყობილ ცხენოსან ჯარს შეეძლო. ამისთვის საჭირო იქნება ძალების შეკრება განსაკუთრებულ დანიშნულების საბრძოლო ესკადრილიის სახით, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ამ გვარ ტაქტიკურ შეერთებაში იმათ გააგზავნიან იქ, სადაც იერიშის დროს ან მოგერიებისას, ცდილობენ საქმის გადაწყვეტას.

გ. ბ.

ნარევი

ხმელეთზე და წყალზე სახმარი ჯავშნოსანი.

ერთი ოცნებაც განხორციელებული იქნა.

ამ დღეებში ამერიკის სამხედრო სამინისტრომ მოახდინა გამოცდა ახალი კონსტუქციის ჯავშნიან ავტომობილის, რომელიც წყალშიც თამამად ასრულებს ორთქლით მავალ ნავის დანიშნულებას. ამ მეტად საინტერესო გამოცდაზე მოწვეული იყო ყველა მსურველი.

მძიმე ჯავშნიანმა ავტომობილმა (რომელიც იწონიდა 500 ფ. მეტს) თავისუფლად გაირბინა ნიუ-იორკში ჩამავალ მდინ. გუნსონის ნაპირზე, ჩაეშვა მდინარეში, გაეხვია მდინარის ტალღებში და ჩქარი ცურვით გაეშურა მოწინააღმდეგე ნაპირისაკენ, აირბინა მისი დაქანებული კიდე და მიიმალა სახლებში.

ცდა შესანიშნავად დამთავრდა. მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა რომ ევროპის სახელმწიფოების სამხედრო სამინისტროებმა იმ წამსვე შეუკვეთეს ამერიკელებს ასეთი ჯავშნოსნები.

ასე სრულდება სოპანისტების ფანტაზია.

ლიკომოტივით შეკუმშული ჰაერით

რომში გაფაციცებით ახდენენ ცდებს ლოკომოტივებზე ქვა ნახშირის მაგივრად შეკუმშული ჰაერის გამოსაყენებლად.

ეს გამოგონება მოახდინა იტალიელმა ცარლოტი ფაუსტომ. გამოგონება მეტად ხელსაყრელია რადგან ქვა ნახშირთან შედარებით იძლევა 60 პროცენტ ეკონომიას.

რადის რაოდენობა მსოფლიოში.

პეტროგრადის რადიო ინსტიტუტმა მოახდინა მეტად საინტერესო მუშაობა ლითონის რადის რაოდენობის გამოანგარიშებით, რომელიც შეიძლება მივიღოთ მთელი დედამიწის ზურგზე არსებულ რადის მატარებელ მადნებისაგან, საფრანგეთის კონგოს და მადაგასკარზე ახლად აღმოჩენილ რადის თან მატნევით. მთელი რაოდენობა დედამიწაზე არსებულ რადის აღწევს მხოლოდ ერთ კილოგრამს.



ფხიზლად სადარაჯოზე

„ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებაო;
ეს ჩვენი პანი შლიახტიჩ
საომრათ ემზადებაო!

ულვაშები დაიწკიპა—
ყურთმაჯა მხარს გადაიგდო;
ამ ბოლო დროს სკოროპადსკიმ
ძალიან თავი აიგდო!..

ფრანგთ გენერალი ესტუმრა
ათვალიერებს მის ჯარსაო;
ნეტა ვიცოდეთ ეს ფოში
ვიზედა იყრის ჯავრსაო!..

აბა დელი, დელათ,
რუმინიას ვინ რას ერჩის,—
რომ ამავ დროს იქ მისულა
ინგლიზ „ჯენერალი ფრენჩი“?!

და ისიც ათვალიერებს
მუზიკანტების ჯარსაო
(როგორც ერთხელ ვილჰელმმა სთქვა)
ყველგან რეკავენ ზარსაო!..

იონესკუს და ფერდინანდს
მადა გაჰღვიძებიაო;
მაგრამ ვიცით დაებნევათ
ჩვენს საზღვრებში გზებიაო!..

სალამი წითელ არმიას!
(ჯერ ვერავინ დასთარსაო)
ის თავის მაგარ შეტევით
მათ დაუბნევს დავთარსაო!..

რაშო-რე-რას მოგახსენებთ—
დიდი არაფერიაო;
ჩვენს გმირს ლაშქარს ჯერ ვერავინ,
ვერსად ვერ მოერიაო!

ეხლაც ისე, როგორც წინად
ჩვენს მტრებს აჰმევს სირცხვილსაო
და მოამტვრევს ამ თავ-ხედებს
სისხლის ბრძოლაში ცხვირსაო!

ამხანაგო არმიელნო!—
ფხიზლად საგუშაგოზე!
თუ დასჭირდა—მზად იყავით
ამ „ანტანტის“ ჰაგოებზე.

დაშნა.

ნ. ...
ტირაჟი 1000.
პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე